ფული და ვალუტა

ნესტან კუბლაშვილი

2023 წელი

ფული - ეს არის გადახდის, გაცვლის, დაგროვებისა და ღირებულების საზომი საშუალება. დღევანდელ დღეს ფულის ფუნქციას ბანკნოტები, მონეტები და ელექტრონული გადახდის საშუალებები (მაგალითად, საგადახდო ბარათები) ასრულებენ, თუმცა, ისტორიის მანძილზე ფულმა არაერთხელ იცვალა ფორმა.

უძველეს დროში, მონეტარული სისტემის შემოღებამდე, ადამიანები ერთმანეთს ჩუქნიდნენ, სესხად აძლევდნენ ან პირდაპირ ერთმანეთში ცვლიდნენ სხვადასხვა საქონელს, როგორიცაა ხორცი, იარაღი, ხორბალი, და ა.შ

საქონელგაცვლას ანუ ბარტერს უარყოფითი თვისებებიც ჰქონდა,მაგ.: იმ საქონელზე, რომელსაც ადამიანები სთავაზობდნენ ერთმანეთს, შეიძლება ყოველთვის არ ყოფილიყო მოთხოვნა, რა შემთხვევაშიც გარიგება ვერ შედგებოდა.

პირველი მონეტები ძვ. წ. 600 წელს ლიდიაში/ თურქეთი მოიჭრა. მონეტები ძვირფასი ლითონისგან მზადდებოდა და მისმა შემოღებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას, მაგრამ მძიმე იყო გადასაადგილებლად და რთული იყო მოსაპოვებლად.

ქაღალდის ფული ჩინეთში გაჩნდა, ევროპაში კი მისი გამოყენება 6 საუკუნის შემდეგ, ჩვ. წ. 1661 წელს, შვედეთში დაიწყეს.

ფულად ერთეულს, რომელიც კონკრეტულ ქვეყანაში გამოიყენება, ვალუტას უწოდებენ. ყველა ვალუტას აქვს დასახელება (როგორიცაა ლარი, ევრო, დოლარი) და განსაზღვრული ნომინალის ბანკნოტები და მონეტები, რომელთა ფორმითაც ხდება ვალუტის მიმოქცევაში ჩაშვება. თითოეული ვალუტისთვის არსებობს ემისიის (გამოშვების), განადგურებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მკაცრი სტანდარტები, რაც მათ გაყალბებისგან იცავს. ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ, ბანკნოტებისა და მონეტების პარალელურად, გავრცელდა გადახდის ელექტრონული საშუალებები - როგორიცაა საგადახდო პლასტიკური ბარათები და ელექტრონული ფული.

ელექტრონული ფული წარმოადგენს მომხმარებლისაგან მიღებული ნაღდი ფულის ექვივალენტურ ღირებულებას, რომელიც ინახება ე.წ. „ელექტრონულ საფულეში“. მისი უპირატესობაა ის, რომ არ ცვდება, მომხმარებელი უფრო დაცულია ფულის ქურდობისა და დაკარგვისგან, არ ხარჯავს დროს ბანკის სალაროს რიგში დგომაზე. საგადახდო ბარათით მარტივია ფულის ტარება.

ფულზე ელექტრონულად წვდომა კი ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი ინტერნეტისა და ტელეფონის საშუალებით.

კრიპტოგრაფიული (ვირტუალური) ვალუტა. საქართველოში არ წარმოადგენს გადახდის კანონიერ საშუალებას და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირების სფეროს. შესაბამისად, კრიპტოვალუტებთან დაკავშირებით ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებისას, რისკები მეტია. კერძოდ: გაცვლითი პლატფორმები და ციფრული საფულეები, რომელთა საშუალებითაც ხდება ვირტუალური ვალუტებით ვაჭრობა,სხვადასხვა ქვეყანაშია შექმნილი და მათი სამართლებრივი სტატუსი ხშირად გაურკვეველია.ასეთი პლატფორმები და მათზე მომხმარებლის ფულით განხორციელებული ოპერაციები, კიბერშეტევის პოტენციური სამიზნეა და მიმზიდველია არაკანონიერი საქმიანობისთვის

Mvvaluta

ვალუტის გაცვლითი კურსი - ეს არის ერთი ქვეყნის ვალუტის ღირებულება გამოსახული მეორე ქვეყნის ვალუტის ერთეულებში. თითოეული ქვეყნის ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს საკუთარ სავალუტო კურსის რეჟიმს და სხვადასხვა მექანიზმებით ახორციელებს სავალუტო პოლიტიკას. აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლით კურსი გაიანგარიშება ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებული გარიგებების მიხედვით და ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, სხვა ქვეყნის ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი კი განისაზღვრება საერთაშორისო ბაზრებზე.

საქართველოს ოფიციალური ვალუტა და ქვეყნის ტერიტორიაზე გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება ლარია და მას თავისი სიმბოლო აქვს, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭომ 2014 წლის 7 ივლისს დაამტკიცა.
საქართველოში ფულის ნიშნების ემისიის ანუ ფულის ბეჭდვის უფლება მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკს გააჩნია.

გმადლობთ ყურადღებისთვის!

Company
Analysis